მპგ
ქართული მარში -
ეროვნული მოძრაობა

PUC
Georgian March –
National Movement

მის: ქ. თბილისი 0118, რუსთაველის გამზ. #1, ბინა 54
ელ/ფოსტა: qartmarshi@gmail.com ტელ: +995 593 96 79 35
ს/კოდი 415030380

address: 0118 Tbilisi, Rustaveli ave. #1, a. 54
E-mail: qartmarshi@gmail.com Tel: 593 96 79 35
Ident. code: 415030380

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მპგ „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“
და საკანონმდებლო ცვლილებებისთვის შექმნილი
მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 127-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ რეგისტრაციაში გაატაროთ კანონპროექტები, რომლებიც ინიცირებულია საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების საინიციატივო ჯგუფის მიერ.

ეს კანონპროექტებია:

1. *„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;*
2. *„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.*

საინიციატივო ჯგუფის წევრები:

1. ალექსანდრე ბრეგაძე, *დაბ. 01.10.1971წ, მის. ქ.თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, კორპუსი 16, ბინა 37, პ/ნ 01026006959, ტელ. 599 42 57 42*
2. ირაკლი შიხიაშვილი, *დაბ. 09.04.1972წ, მის. ქ.თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 7 ბ. 26, პ/ნ 01029007089, ტელ. 591 71 00 71*
3. გიორგი გიგაური, *დაბ. 22.07.1968წ, მის. ქ.თბილისი, სანერგის II შესახვევი, N 18, პ/ნ 01020010394, ტელ. 593 96 79 35*

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-13294/20
21 09 2020 წ. ფურცელი 17

4. ზურაბ ენუქიძე, *დაბ. 14.01.1976წ, მის. ქ.თბილისი ე.მიქელაძის ქ. N 5 ბ. 53, პ/ნ 01005025150, ტელ. 599 08 40 94*
5. კახაბერ კობახიძე, *დაბ. 10.10.1970წ, მის. თბილისი იყალთოს გორის ქ. კორ. 1 ბ. 61, პ/ნ 01001005866, ტელ. 577 48 84 84*
6. ალექსანდრე ჩარგეიშვილი, *დაბ. 05.01.1971წ, მის. ქ.თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. N165, ბ.1, პ/ნ 01011017989, ტელ. 574 00 11 22*

ალექსანდრე ბრეგაძე

ირაკლი შიხიაშვილი

გიორგი გიგაური

ზურაბ ენუქიძე

კახაბერ კობახიძე

ალექსანდრე ჩარგეიშვილი

საქართველოს კანონი

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.96, გვ. 28) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-14 მუხლის მე-3 ქუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პირადობის მოწმობის რეკვიზიტებია:

ა) სახელი;
ბ) გვარი;
გ) დაბადების თარიღი;
დ) დაბადების ადგილი;
ე) პირადი ნომერი;
ვ) ეროვნება;
ზ)ფოტოსურათი, რომელსაც უნდა დაესვას სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის გერბიანი ბეჭედი;
თ) პირადი ხელმოწერა;
ი) მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება;
კ) სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა;
ლ) რელიეფური ბეჭედი;
მ) მოწმობის გაცემის თარიღი;
ნ) მოწმობის მოქმედების ვადა;
ო) მისამართი;
პ) რეგისტრაციის თარიღი“.

2. მე-14 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) სახელს;
ბ) გვარს;
გ) დაბადების თარიღს;
დ) დაბადების ადგილს;
ე) მოქალაქეობას;
ვ) სქესს;
ზ) პირად ნომერს;
თ) ეროვნებას;
თ) ფოტოსურათს;
ი) პირად ხელმოწერას;
კ) მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელებას;

ლ) მოწმობის გაცემის თარიღს;

მ) მოწმობის მოქმედების ვადას;

ნ) კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატს – ავთენტიფიკაციის სერტიფიკატს, მის შესაბამის დახურულ გასაღებს და ამ გასაღების არასანქციონირებული გამოყენებისაგან დამცავ აქტივაციის მონაცემებს".

3. მე-14 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. პირადობის მოწმობაში ეროვნების მითითება ნებაყოფლობითია და ხორციელდება პირის განცხადების საფუძველზე.

4. მე-18 მუხლის 1-ლი პუნტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირი ვალდებულია შეცვალოს პირადობის (ბინადრობის) მოწმობა შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოწმობის მოქმედების ვადის გასვლისას;

ბ) საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას;

გ) სახელის ან გვარის ან ეროვნების შეცვლისას;

დ) ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას;

ე) გამოყენებისთვის უვარგისობისას (გაცვეთა, დაზიანება) ან დაკარგვისას".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს კანონმდებლობა დღემდე არ განსაზღვრავს ეროვნულობის გრაფას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში, რაც არის საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილის მოთხოვნა დღეს. მოქალაქეებს სურთ დაფიქსირებული ჰქონდეთ სახელმწიფოს მიერ გაცემულ დოკუმენტებში საკუთარი ეროვნება, ისევე როგორც სხვა დოკუმენტებში, როგორიცაა საკადრო აღრიცხვის ბარათი თუ სამხედრო აღრიცხვის ბარათში.

ამას გარდა, დღემდე არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საქართველოს მოქალაქეების ეროვნული შემადგენლობის თაობაზე, რათა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფომ შეიმუშავოს შესაბამისი სტრატეგია ეროვნული უმცირესობათა მიმართ, მათი სამოქალაქო რეინტეგრაციის პროცესის ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

ა.ა.ა.) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღებით მოხდება ეროვნულობის გრაფის შემოღება ბავშვის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემისას. აღსანიშნავია, რომ ეროვნების მითითება იქნება ნებაყოფლობითი და დამოკიდებული იქნება მშობლების ან დაბადების მოწმობის მფლობელის სურვილზე, ჩაწერონ თუ არა ეროვნება დოკუმენტში.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღება აუცილებელია, რათა მოხდეს საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილის მოთხოვნის დაკმაყოფილება დაფიქსირებული ჰქონდეს მასთან დაკავშირებულ სახელმწიფოს მიერ გაცემულ დოკუმენტებში საკუთარი ეროვნება, ისევე როგორც სხვა დოკუმენტებში, როგორიცაა საკადრო აღრიცხვის ბარათი თუ სამხედრო აღრიცხვის ბარათში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს ერთის მხრივ, საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოს მოქალაქეების ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრას, რათა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკის განსაზღვრა/ჩამოყალიბება ეროვნული უმცირესობათა მიმართ და მათი სამოქალაქო რეინტეგრაციის პროცესის ეფექტურობის ამაღლებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში შემოღებული იქნება ეროვნულობის გრაფა, სადაც ეროვნების მითითება მოხდება დაბადების მოწმებაში ეროვნულობის გრაფის მიხედვით და განცხადების საფუძველზე.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი არ უკავშირდება სამთავრობო პროგრამას ან შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმას.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

ასეთი არ არსებობს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ბ)კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ასეთი არ არსებობს.

ზ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ასეთი არ არსებობს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

მსგავსი კანონი მოქმედებს ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოს, ლატვიის რესპუბლიკის ტერიტორიზე 90-იანები წლებიდან, რომლის თანახმადაც ეროვნების მითითება სააქტო ჩანაწერსა და მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში არის ნებაყოფლობითი და მოქალაქეს აქვს უფლება საერთოდ არ მიუთითოს საკუთარი ეროვნება.

ე) კანონპროექტის ავტორი:

მპგ „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

25 000 ამომრჩეველი

კანონის მუხლები, სადაც შედის ცვლილებები:

<u>მუხლი 14</u>

1. საქართველოს მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) მოწმობა ორგვერდიანია, იბეჭდება და ივსება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრთვე აფხაზურ ენაზე.

2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა 18 წლამდე პირზე გაიცემა 4 წლის ვადით, 18 წელს მიღწეულ პირზე – 10 წლის ვადით, ხოლო სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების მიერ გასაცემი, ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული პირადობის მოწმობა, გარდა პირადობის ელექტრონული მოწმობისა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით გაიცემა 6 თვემდე ვადით.

3. პირადობის მოწმობის რეკვიზიტებია:

ა) სახელი;

ბ) გვარი;

გ) დაბადების თარიღი;

დ) დაბადების ადგილი;

ე) პირადი ნომერი;

ვ) ფოტოსურათი, რომელსაც უნდა დაესვას სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის გერბიანი ბეჭედი;

ზ) პირადი ხელმოწერა;

თ) მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება;

ი) სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა;

კ) რელიეფური ბეჭედი;

ლ) მოწმობის გაცემის თარიღი;

მ) მოწმობის მოქმედების ვადა;

ნ) მისამართი;

ო) რეგისტრაციის თარიღი.

3[1]. ამოღებულია

4. საქართველოს მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) მოწმობა შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელს, რომელზედაც ელექტრონული ფორმით დაიტანება (ჩაიწერება) პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მონაცემები (პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა).

4[1]. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა შეიძლება შეიცავდეს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატს, მის შესაბამის ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემებს და ამ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების არასანქციონირებული გამოყენებისაგან დამცავ აქტივაციის მონაცემებს. იგი ასევე შეიძლება შეიცავდეს სერტიფიკატებს ან/და გასაღებებს, რომლებიც განკუთვნილია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის ან/და მასზე დატანილი (ჩაწერილი) მონაცემების ერთიანობის, ავთენტიკურობისა და კონფიდენციალურობის დაცვისათვის.

5. ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელს უნდა ჰქონდეს საკმარისი ტევადობა და თვისებები, რათა გარანტირებული იყოს მონაცემთა ერთიანობა, ავთენტიკურობა და კონფიდენციალურობა.

6. ტექნიკური მახასიათებლები და სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა, აგრეთვე ამ მუხლის მე-7 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ

მოწმობაზე დატანის (ჩაწერის) წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

6 [1]. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა 2-გვერდიანია. იგი იბეჭდება და ივსება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

7. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) სახელს;

ბ) გვარს;

გ) დაბადების თარიღს;

დ) დაბადების ადგილს;

დ[1]) მოქალაქეობას;

დ[2]) სქესს;

ე) პირად ნომერს;

ვ) ფოტოსურათს;

ზ) პირად ხელმოწერას;

თ) ამოღებულია

ი) ამოღებულია

კ) მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელებას;

ლ) მოწმობის გაცემის თარიღს;

მ) მოწმობის მოქმედების ვადას;

ნ) კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატს – ავთენტიფიკაციის სერტიფიკატს, მის შესაბამის დახურულ გასაღებს და ამ გასაღების არასანქციონირებული გამოყენებისაგან დამცავ აქტივაციის მონაცემებს;

ო) ამოღებულია

8. ამოღებულია

9. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე და შესაბამის ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე პირის შესახებ ამ მუხლით გაუთვალისწინებელი ინფორმაციის დატანა (ჩაწერა) შესაძლებელია მხოლოდ ამ პირის თანხმობით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი დამატებითი მონაცემების ფარგლებში.

10. სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები, რომლებიც უფლებამოსილი იქნებიან გასცენ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა, განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. აღნიშნული ტერიტორიული სამსახურების მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირადობის (ბინადრობის) მოწმობის გაცემა შესაძლებელი იქნება, თუ ობიექტურ მიზეზთა გამო შეუძლებელია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის გაცემა.

10 [1]. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში შესაძლებელია მიღებულ იქნეს განცხადება მხოლოდ პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემის თაობაზე. ასეთი განცხადების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში, რომელიც სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზასთან არის დაკავშირებული.

11. დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა გაიცემა 1 წლის ვადით. დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის ფორმა მტკიცდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

<u>მუხლი 18</u>

1. პირი ვალდებულია შეცვალოს პირადობის (ბინადრობის) მოწმობა შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოწმობის მოქმედების ვადის გასვლისას;

ბ) საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას;

გ) სახელის ან გვარის შეცვლისას;

დ) ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას;

ე) გამოყენებისთვის უვარგისობისას (გაცვეთა, დაზიანება) ან დაკარგვისას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე.

3. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის მოქმედება შეჩერდება:

ა) ამ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით პირის რეგისტრაციიდან მოხსნისას.

4. პირადობის (ბინადრობის) მოწმობა უქმდება:

ა) თუ დაინტერესებულმა პირმა პირადობის (ბინადრობის) მოწმობის გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლიდან 1 წლის განმავლობაში არ ჩაიბარა დამზადებული პირადობის (ბინადრობის) მოწმობა;

ბ) თუ დაინტერესებულმა პირმა შეცვალა პირადობის (ბინადრობის) მოწმობა;

გ) თუ პირადობის (ბინადრობის) მოწმობის გაცემის შემდეგ გამოვლინდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები;

დ) თუ პირმა პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მისაღებად ყალბი დოკუმენტები წარადგინა, რაც პირადობის (ბინადრობის) მოწმობის გაცემის შემდეგ გამოვლინდა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით პირის რეგისტრაციიდან მოხსნისას.

5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით შეიძლება დადგინდეს პირადობის (ბინადრობის) მოწმობის შეცვლის, მათი მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების დამატებითი საფუძვლები.

პროექტი

საქართველოს კანონი

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.12.2011, სარეგისტრაციო კოდი: 040200010.05.001.016538) დაემატოს:

1. შემდეგი შინაარსის 26[1] მუხლი:

მუხლი 26[1]. დაბადების რეგისტრაციისას ბავშვის ეროვნების ჩაწერა

1. ბავშვის ეროვნება დგინდება მშობლების ეროვნებების მიხედვით და დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მისი ჩაწერა ნებაყოფლობითია.

2. დაქორწინებული მშობლებისგან ბავშვის ეროვნება დგინდება მეუღლეთა ერთობლივი განცხადებით ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით და ბავშვის დაბადებისა და მშობელთა ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

3. ქორწინებაში არმყოფი მშობლებისგან ბავშვის ეროვნება დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით.

4. თუ ბავშვი შეეძინება დაუქორწინებელ დედას და არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის ეროვნებაში მიეთითება დედის ეროვნება.

5. თუ დაბადების რეგისტრაციის მომენტისთვის დედა გარდაცვლილია, სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ეროვნების შესახებ მონაცემები მიეთითება მამის განცხადების საფუძველზე.

6. ქორწინებაში მყოფი ერთ-ერთი მშობლის განცხადების საფუძველზე ბავშვის ეროვნების რეგისტრაციის შემთხვევაში იმ მშობელს, რომლის განცხადების გარეშეც განხორციელდა დაბადების რეგისტრაცია, უფლება აქვს, იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო დაბადების რეგისტრაციის შესახებ, 1 წლის განმავლობაში სადავო გახადოს დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემები. თუ მონაცემების გასაჩივრების უფლების წარმოშობის დროისთვის ბავშვის მშობელი არასრულწლოვანია, გასაჩივრების ვადა აითვლება მის მიერ სრულწლოვანების მიღწევიდან.

2. შემდეგი შინაარსის თავი VII[1] :

თავი VII[1]. ეროვნების შეცვლის რეგისტრაცია

მუხლი 69[1]. ეროვნების შეცვლის უფლება

1. საქართველოს მოქალაქეს, რომლის დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში, უფლება აქვს შეიცვალოს ეროვნება, მშობლების ეროვნებების მიხედვით.

2. ეროვნების შეცვლისათვის სავალდებულოა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ ეროვნების შეცვლის რეგისტრაცია.

3. ეროვნების შეცვლის რეგისტრაციის საფუძველია უფლებამოსილი პირის განცხადება და ამ თავით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა.

მუხლი 69[2]. ეროვნების შეცვლის პირობა

სრულწლოვან პირს უფლება აქვს, საკუთარი სურვილისამებრ შეიცვალოს ეროვნება მხოლოდ ერთხელ და მიიღოს ერთ-ერთი მშობელის ეროვნება, თუ მშობლებს სხვადასხვა ეროვნება გააჩნიათ.

მუხლი 69[3]. ეროვნების დადგენა

პირს, რომლის დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არ არის მითითებული ეროვნება, მისი სურვილისამებრ, შეიძლება დაუდგინდეს მშობლების ეროვნებების მიხედვით ან პირდაპირი აღმავალი შტოს ორი თაობის ეროვნებით, რაც უნდა დასტურდებოდეს მის სახელზე შედგენილი დოკუმენტებითა და სხვა მტკიცებულებებით.

მუხლი 69[4]. ეროვნების შეცვლის რეგისტრაციაზე უარის თქმა

ეროვნების შეცვლა დაუშვებელია, თუ განმცხადებელი არ ირჩევს მშობლების ან პირდაპირი აღმავალი შტოს ორი თაობის ეროვნებას.

მუხლი 69[5]. განცხადების განხილვის ვადა

1. ეროვნების შეცვლის/დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია ხორციელდება სათანადო განცხადების წარდგენიდან მე-90 კალენდარულ დღეს.

2. ამ თავით გათვალისწინებული საფუძვლით პირის ეროვნების შეცვლის/დადგენის მოთხოვნისას დაჩქარებული მომსახურების გაწევა დაუშვებელია.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

განმარტებითი ბარათი

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს კანონმდებლობა დღემდე არ განსაზღვრავს ეროვნულობის გრაფას სააქტო ჩანაწერსა და დაბადების მოწმობაში, რაც არის საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილის მოთხოვნა დღეს. მოქალაქეებს სურთ დაფიქსირებული ჰქონდეთ სახელმწიფოს მიერ გაცემულ დოკუმენტებში საკუთარი ეროვნება, ისევე როგორც სხვა დოკუმენტებში, როგორიცაა საკადრო აღრიცხვის ბარათი თუ სამხედრო აღრიცხვის ბარათში.

ამას გარდა, დღემდე არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საქართველოს მოქალაქეების ეროვნული შემადგენლობის თაობაზე, რათა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფომ შეიმუშავოს შესაბამისი სტრატეგია ეროვნული უმცირესობათა მიმართ, მათი სამოქალაქო რეინტეგრაციის პროცესის ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

ა.ა.ა.) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღებით მოხდება ეროვნულობის გრაფის შემოღება ბავშვის დაბადების რეგისტრაციისა და დაბადების მოწმობის გაცემისას. აღსანიშნავია, რომ ეროვნების მითითება იქნება ნებაყოფლობითი და დამოკიდებული იქნება მშობლების ან დაბადების მოწმობის მფლობელის სურვილზე, ჩაწერონ თუ არა ეროვნება დოკუმენტში.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღება აუცილებელია, რათა მოხდეს საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილის მოთხოვნის დაკმაყოფილება დაფიქსირებული ჰქონდეს მასთან დაკავშირებულ სახელმწიფოს მიერ გაცემულ დოკუმენტებში საკუთარი ეროვნება, ისევე როგორც სხვა დოკუმენტებში, როგორიცაა საკადრო აღრიცხვის ბარათი თუ სამხედრო აღრიცხვის ბარათში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს ერთის მხრივ, საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოს მოქალაქეების ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრას, რათა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკის განსაზღვრა/ჩამოყალიბება ეროვნული უმცირესობათა მიმართ და მათი სამოქალაქო რეინტეგრაციის პროცესის ეფექტურობის ამაღლებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, სააქტო ჩანაწერებსა და დაბადების მოწმობაში შემოღებული იქნება ეროვნულობის გრაფა. ეროვნების მითითება იქნება ნებაყოფლობითი და მოქალაქეს ექნება უფლება საერთოდ არ მიუთითოს საკუთარი ეროვნება. პიროვნების ეროვნების დადგენა მოხდება მშობლების ეროვნებების მიხედვით ან პირდაპირი აღმავალი შტოს ორი თაობის ეროვნებით, რაც დასტურდებული უნდა იყოს მის სახელზე შედგენილი დოკუმენტებითა და სხვა მტკიცებულებებით.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი არ უკავშირდება სამთავრობო პროგრამას ან შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმას.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

ასეთი არ არსებობს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ბ)კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ასეთი არ არსებობს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ასეთი არ არსებობს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ

სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

მსგავსი კანონი მოქმედებს ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოს, ლატვიის რესპუბლიკის ტერიტორიზე 90-იანები წლებიდან, რომლის თანახმადაც ეროვნების მითითება სააქტო ჩანაწერსა და მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში არის ნებაყოფლობითი და მოქალაქეს აქვს უფლება საერთოდ არ მიუთითოს საკუთარი ეროვნება.

ე) კანონპროექტის ავტორი:

მპგ „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

25 000 ამომრჩეველი